



## ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №-17

2011 წლის 25 თებერვალი  
ქ. ქობულეთი

**„ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა  
თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ ქობულეთის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 აგვისტოს №-9  
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 აგვისტოს №-9 დადგენილებაში (სსმ №-19 01.09. 2010 წ. მუხ. 517) შეტანილ იქნას ცვლილებები თანახმად დანართისა:

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

დანართი  
„დამტკიცებულია“  
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2011 წლის 25 თებერვლის №-17 დადგენილებით

№-	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1	გამგებელი	2360
2	გამგებლის მოადგილე	900
3	გამგეობის სამსახურის უფროსი	700
4	გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	500
5	გამგებლის თანაშემწე, – უფროსი საჯარო თანამდებობის პირი	450
6	მთავარი სპეციალისტი, – უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	420
7	გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი გამგეობის რწმუნებული, წამყვანი სპეციალისტი - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	400
8	სპეციალისტი - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	400
9	ტერიტორიული ორგანოს წამყვანი სპეციალისტი-უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	300
10	ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი – უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	220
11	სახანძრო დაცვის სამსახურის უფროსი	570
12	სახანძრო დაცვის სამსახურის ჯგუფის უფროსი - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	380
13	სახანძრო დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი – უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	350
14	სახანძრო დაცვის სამსახურის სპეციალისტი - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	300
15	სახანძრო დაცვის სამსახურის რაზმის უფროსი - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	320
16	სახანძრო დაცვის სამსახურის მეხანძრე - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	280
17	დამხმარე მოსამსახურე	250